

## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

### 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტი - შემდგომში „შემსყიდველი“

(მის: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. #6, ს/კ 238769025) აცხადებს კონკურსს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული მომსახურეობის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან (რ.გ.ფ) გამოყოფილი სპეც. ტრანსფერის (600000 ლარის) ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ასევე შესაბამისი ნახაზების (ასეთის სჭიროების შემთხვევაში) შედგენასთან დაკავშირებული მომსახურეობის შესყიდვა.

დაგეგმილ სამუშაოთა ჩამონათვალია: სამტრედიის ქალაქის ტერიტორიაზე სკვერებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია (დეკორატიული ფილებისა და ბორდიურების მოწყობა, ღობეების მოწყობა, განათების შეცვლა, ატრაქციონების მოწყობა და სხვა), შადრევნის რეაბილიტაცია, საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და წყალ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია, ახალი ტრასისპირა (და სხვა) განათებების მოწყობა.

ელ. ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიების ხარჯზე შესაძლებელია დაიგეგმოს დამატებით სხვა სამუშაოები.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შედგენილი სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვის ღირებულებაზე (დღგ-ს გარეშე) დარიცხული მომსახურეობის პროცენტის მიხედვით, რომელის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 2,5%-ს, ხოლო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 14395 (თოთხმეტიათას სამასოთხმოცდა თხუთმეტი) ლარს.

საკონკურსო წინადადებით განსაზღვრული მომსახურეობის ფასის წარმოდგენა უნდა მოხდეს როგორც პროცენტული ასევე ღირებულებითი (ლარებში) მაჩვენებლის მიხედვით.

საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილ პროცენტულ და ღირებულებით მაჩვენებელში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ის გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულებაც აღნიშნული მომსახურეობის გაწევისათვის წარმოექმნება კონკურსანტს.

### 2. დაფინანსების წყარო და პირობები:

ა) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული მომსახურეობის შესყიდვის დაფინანსების წყაროა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (რ.გ.ფ-დან გამოყოფილი ტრანსფერის ფარგლებში)

ბ) გაწეული მომსახურეობის დაფინანსებას „შემსყიდველი“ მოახდენს ეტაპობრივად, „მოწოდებლის“ მოთხოვნის შესაბამისად, კონკრეტულ შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის „შემსყიდველისათვის“ ჩაბარების შემდეგ,

გ) „მოწოდებელი“ ერთპიროვნულად აგებს პასუხს მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვისა და პროექტის მოქმედ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაზე და ვალდებულია მომსახურეობის გაწევისას იხელმძღვანელოს სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის პრინციპით.

დ) „სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული საგეგმო პარამეტრების დაცვის მიზნით „შემსყიდველს“ უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს „მოწოდებელს“ მოახდინოს მის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში

ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების ცვლილება, გამოსაყენებელ მასალათა სახეობების ცვლილება და. ა.შ.

**აღნიშნული მომსახურეობა „მომწოდებელი“-ს მიერ შესრულებული უნდა იქნეს დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე**

### **3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:**

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შესყიდვის კონკრეტული ობიექტის მიწოდების ვადაა „შემსყიდველი“-ს მხრიდან შესაბამისი სადეფექტო აქტის მიწოდებიდან 7 (შვიდი) დღე.

### **4. ზეპირი ვაჭრობა (სამ რაუნდად) გაიმართება კონკურსის ჩატარების დღეს 2012 წლის 02 მარტს 15 საათზე.**

### **5. კონკურსში მონაწილეობის საფასური**

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

### **5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:**

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

### **6. კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 02 მარტს 15 საათზე.**

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 02 მარტს 14 საათსა და 30 წუთამდე, შემდეგ მისამართზე: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. #6, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური (მე-3 სართული, ოთახი 1#305), განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

### **7. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.**

### **8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

#### **8.1. იურიდიული და ფიზიკური პირისათვის:**

- ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

- ბ) ცნობა დავალიანების შესახებ შემოსავლების სამსახურიდან
- ბ) ხელმძღვანელი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
- ხელმძღვანელი პირისაგან სხვა პირზე უფლებამოსილების გადაცემა დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით;
- გ) აფიდავიტი (შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ).
- გ) ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;
- დ) ინფორმაცია უკანასკნელ 2010-2011 წლებში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე (ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ქსერო ასლებით);
- ე) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, კერძოდ

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
- საიდენტიფიკაციო კოდი;
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;
- ელექტრონული მისამართი;
- მომსახურე ბანკი და ბანკის კოდი;
- ანგარიშის ნომერი;

9. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერილი წინადადებები არ განიხილება.

12. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**შენიშვნა:** ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე

**13. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:**

- ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, არ არის შედგენილი ამ წესის მოთხოვნათა დაცვით/ ან არ შეესაბამება შემსყიდველის მიერ საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ;
- ბ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- გ) თუ ის არ დააზუსტებს შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადებასთან დაკავშირებით მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას;
- ე) თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

ვ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.“

**14 კონკურსანტს არ აქვს უფლება აიყვანოს სუბკონტრაქტორი.**

15. კონკურსი ტარდება `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ` საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი ვაჟა გეგეშიძე, მისამართზე: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. #6 მე-3 სართ. ოთახი 1#312; ტელ 895 90 44 34; სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახური. საკონკურსო კომისია.

### **ტექნიკური დავალება (დასადები ხელშეკრულების აუცილებელი პირობები)**

1. მომწოდებელი ვალდებულია თითოეულ სამუშაოზე შეადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი ნახაზებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) შედგენის მომენტისათვის არსებული სტანდარტებისა და ნორმების სრული დაცვით, რომელიც უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედით დამოწმებული.

2. მომწოდებელი ვალდებულია გარკვეული დახმარება გაუწიოს „შემსყიდველს“ სხვადასხვა სამუშაოთა დაგეგმარების პროცესთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებში.

3. იმ შემთხვევაში თუ კი ელექტრონული ტენდერის შედეგად მიღებული იქნება ეკონომია რ.გ.ფ-დან გამოყოფილი თანხის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოებზე და „შემსყიდველი“ აღნიშნული ფონდ(ებ)ის ფარგლებში დაგეგმავს დამატებით სამუშაოებს, კონკურსში გამარჯვებული ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია დამატებით დაგეგმილი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია „შემსყიდველს“ მიაწოდოს უსასყიდლოდ.

4. კონკურსანტის შეფასების მთავარი და ერთადერთი კრიტერიუმია პროცენტული (რომელიც განისაზღვრება კონკურსანტის მიერ შედგენილი სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვის ღირებულების მიხედვით) და მისი შესაბამისი თანხობრივი მაჩვენებელი.

## საკონკურსო წინადადება

თარიღი: ----- 2012 წ.  
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ვის: სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას  
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: -----  
(კონკურსანტის დასახელება)

შევსწავლეთ რა საკონკურსო დოკუმენტაცია. თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული მომსახურეობის გაწევა (შემდგომში „მომსახურეობა“)

და გთავაზობთ ზემოაღნიშნული მომსახურეობის გაწევას, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ჩემს მიერ შედგენილი საპროექტო-საღარჯღარისხვო დოკუმენტაციის ღირებულების (გარდა დღგ-სა) ----- პროცენტის ოდენობით, თანხით -----ლარი.

აქვე ვიღებთ ვალდებულებას აღნიშნული მომსახურეობის გაწევისას დავიცვათ საქართველოს კანონმდებლობითა და მოქმედი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვიხელმძღვანელოთ სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის პრინციპით.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ „მომსახურეობის“ გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და საჭიროების მიხედვით მომსახურეობა გავწიო 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

თითოეულ ობიექტზე მომსახურეობა დავასრულო შესაბამისი სადეფექტო აქტების მიღებიდან ----- დღის ვადაში.

ამავდროულად ვიღებ ვალდებულებას ერთიდაიგივე სამუშაოსთან დაკავშირებულ სახარჯთაღრიცხვო მოცულობებში ცვლილებების შეტანა განვახორციელო უსასყიდლოდ, ხოლო ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული ელ. ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიების (რ.გ.ფ-დან გამოყოფილი თანხის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებიდან) ხარჯზე დაგეგმილი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია „შემსყიდველს“ მიაწოდოს უსასყიდლოდ საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად,

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია ----- დღის განმავლობაში დაწყებული შემდეგი თარიღიდან: ----- 2012w

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 მარტის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_
5. \_\_\_\_\_

**აფიდავიტი**  
**საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

მე, ქვემოთ ხელმომწერი, (ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება, დირექტორი და საიდენტ. კოდი), წარვადგენ რა საკონკურსო წინადადებას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ----- საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #----- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
  2. უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
  3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
  4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში.
  5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - ა) საკონკურსო წინადადების ფასი;
    - ბ) საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
    - გ) საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
    - დ) ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს.
    - ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება.
  6. საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.
- გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება,  
დირექტორი და საიდენტ. კოდი),  
-----2012 წელი